№ 26. 3 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ (15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ) 1870 3 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ (15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ) № 26.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

...ᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐ-
...ᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ: ᲒᲐᲖᲐᲕᲜᲘᲗ ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲔᲚᲐᲗ:
...ᲬᲚᲘᲡᲐ — 7 ᲛᲐᲜ. — — — 6 ᲛᲐᲜ.
...ᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲐ — 4 — — — — 3 — 50 Კ.
...ᲗᲕᲘᲡᲐ — 2 — 50 Კ. — — — 2
...ᲗᲕᲘᲡᲐ — 1 — — — — „ — 75 Კ.
...ᲔᲠᲗᲘᲡ ᲜᲝᲛᲠᲘᲡᲐ — — — „ — 15 Კ.
...ᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ-ᲒᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
...ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲔᲜᲔᲑᲖᲔᲓ. ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲔ-
...ᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲝᲒᲘᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲖᲔᲓ 8 ᲙᲐᲞ., ᲐᲡᲝ ᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ
...ᲡᲐᲖᲔ 1/2 ᲙᲐᲞ.

...ᲠᲝᲚᲔᲑᲐ“ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲗ.

ᲓᲠᲝᲚᲔᲑᲐ

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ: ᲔᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ — „ᲓᲠᲝᲚᲔᲑᲘᲡ“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ᲒᲐᲑᲣᲗᲝᲕᲘᲡ სახლში.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ გარეშე მცხოვრებთათვის ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ — ᲚᲔᲚᲣᲐᲡᲗᲐᲜ — ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲛᲔᲚᲥᲝᲜ ᲞᲐᲚᲘᲔᲕᲘᲡ სახლში.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲣᲙᲐᲜᲕᲔ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲨᲘ“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაბეჭდა.

ᲗᲣ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲔᲮᲣᲗᲔ.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ „ᲓᲠᲝᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲖᲔ

...ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲛᲞ. ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ.

...ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲠᲘᲡ ᲔᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲓᲒᲐᲜ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲐᲜᲕᲠᲐᲛᲓᲘᲜ.

...ᲡᲘ ᲒᲐᲖᲐᲕᲜᲘᲗ — — — ᲝᲗᲮᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐ.

... — ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲔᲚᲗ — — ᲡᲐᲛ ᲛᲐᲜᲔᲗ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ.

...ᲗᲘᲡᲐᲪ ᲰᲡᲣᲠᲡ, ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲝᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ.

„ᲓᲠᲝᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲣᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲡᲐᲓ ᲡᲗᲮᲝᲕᲡ ᲘᲛ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲚᲗᲐᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲝᲣᲢᲐᲜᲘᲐᲗ ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲡᲐᲚᲔ ᲨᲔᲛᲝᲣᲢᲐᲜᲘᲗ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

...ᲔᲜᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕ-
...ᲑᲐ. — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ. — „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠ-
...ᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲓᲒᲐᲜ. — ᲠᲣᲡᲔᲗᲘ. — ᲣᲪ-
...ᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ, — ᲔᲡ�პᲐᲜᲘᲐ, — ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘ, —
...ᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲘ. — ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ: Მ. ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲘᲡ
..., — ᲮᲕᲐᲠᲗᲫᲘᲙᲘᲐᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ. — ᲜᲐᲠᲔᲕᲘ. —
...ᲚᲢᲝᲜᲘ: ᲛᲝᲚᲠᲣᲑᲚᲣᲚᲘ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲬᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲨᲗᲐᲒᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ.

...ᲘᲡᲐᲪ ᲰᲡᲣᲠᲡ ᲑᲔᲭᲘᲗᲐᲓ ᲨᲔᲘᲢᲧᲝᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ-
...ᲮᲚᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲤᲐ-ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ,
...Ნ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔ-
...ᲓᲐ ᲧᲝᲤᲐ-ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲪᲜᲝᲡ; ᲓᲐᲛ-
...ᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ
...ᲠᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲛᲝᲚᲠᲣᲑᲚᲣᲚᲘ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

...ᲡᲣᲚ ᲙᲕᲘᲠᲐᲛᲓᲘ ᲛᲔ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲠ ᲣᲯᲔ-
...ᲓᲘ ᲘᲛ ᲡᲬᲐᲕᲚᲣᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲐᲗᲐᲡᲜᲐ-
...ᲑᲣᲗᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲡ
...ᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲛᲧᲝᲤ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲔᲑᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲕ-
...ᲐᲥᲕᲡ ᲙᲐᲪᲖᲔᲓᲐᲝ; ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲕᲔᲠ
...ᲒᲘᲡᲐᲖᲠᲘ—ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲐᲜᲡ ᲡᲣᲚᲓᲒᲛᲣᲚᲖᲔ ᲣᲡᲣ-
...ᲓᲐ ᲣᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲚ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲠᲐ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ
...ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ. ᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲛᲐ ᲑᲝᲙᲚ-
...ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲜᲪ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲓᲐ-
...ᲐᲛ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲓ, ᲕᲔᲠ ᲓᲐᲛᲐᲠ-
...ᲛᲔ. ᲑᲝᲙᲚᲘ ᲠᲐ! ᲘᲜ�გᲘᲚᲝ-ᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚ-
...ᲐᲠ ᲓᲐᲣᲯᲔᲠᲔ! ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ, ᲠᲐᲛᲓᲘ ᲛᲘ-
...ᲩᲔᲛᲨᲘ „ᲡᲣᲚᲛᲐᲜ ᲘᲭᲘᲜᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲣ-
...ᲛᲐᲜ!“

*

...ᲝᲠᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲔᲗ ᲛᲔ ᲒᲐᲕᲐᲢᲐᲠᲔ ᲠᲐᲛ-
...ᲓᲔ ᲔᲠᲗᲡ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚ
...ᲨᲘᲓᲐᲘᲥ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲓᲐᲕᲬᲛᲣᲜᲓᲘ ᲘᲛᲐᲨᲘ,
...ᲕᲔᲠᲪ ᲑᲝᲙᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲕᲔᲠᲪ
...ᲘᲡᲐᲖᲠᲘ—ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲐᲜᲡ ᲡᲣᲚᲓᲒᲛᲣᲚᲖᲔ ᲣᲡᲣ-
...ᲓᲐ ᲣᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲚ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲠᲐ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ
...ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ. ᲗᲗᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲛᲐ ᲑᲝᲙᲚ-
...ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲜᲪ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲓᲐ-
...ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲐᲕᲘᲗ, ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲨᲘ
...ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲗ-ᲛᲝᲧᲕᲐ-
...ᲠᲔᲝᲑᲐ ᲡᲣᲤᲔᲕᲡ.

ᲪᲮᲐᲓᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ — ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲙᲐᲕ-
...ᲨᲘᲠᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔ-
...ᲝᲑᲐᲡ ᲨᲣᲐ: ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲐᲠᲐᲡ,
...ᲐᲜ ᲨᲔᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲔᲓᲐᲗ, ᲓᲐ, ᲕᲘᲜ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲐ ᲒᲐ-
...ᲔᲚᲔᲜᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲨᲕᲘᲚᲘᲡᲔᲑᲖᲔ?
...ᲕᲘᲜ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲠᲫᲔᲡᲗᲐᲜ
...ᲨᲔᲣᲪᲓᲝᲛᲔᲚᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲗᲥᲕᲐᲡ ᲙᲐᲪᲛᲐ, ᲠᲝᲛ
...ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲗ, ᲖᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲣᲚᲔ-
...ᲑᲔᲑᲘᲗ, ᲫᲣᲫᲣᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲗ,
...ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲚ ᲬᲚᲔᲑᲘᲡᲨᲘ, ᲙᲔ-
...ᲗᲓᲔᲑᲐ; ᲗᲣ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲨᲔᲛᲣᲪᲓᲝᲛᲔᲚᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲗᲥᲕᲐᲡ ᲙᲐᲪᲛᲐ, ᲠᲝᲛ
...ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲗ, ᲖᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲣᲚᲔ-
...ᲑᲔᲑᲘᲗ. ᲡᲐᲛᲐᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲗ ᲔᲡᲛᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲝ-
...ᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔ-
...ᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲒᲘᲐ-
...ᲜᲐᲗ ᲐᲦᲖᲠᲓᲐᲖᲔ, ᲓᲐ ᲘᲛᲐᲗ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲖᲔ,
...ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲚᲝᲜᲘᲡ-ᲫᲘᲔᲑᲐᲡ ᲮᲛᲐᲠᲝᲑᲡ
...ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲠᲐᲡ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲠᲐᲡ ᲣᲩᲣᲠᲩᲣᲚᲔᲑᲔᲜ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲧᲣᲠᲔᲑᲨᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ? ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲡᲔᲗ ᲠᲐᲛᲔᲔᲑᲡ,

---

...ᲨᲔᲘᲗᲘᲡᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲡ ᲓᲐ ᲖᲜᲔᲡ? ᲨᲔᲣᲪᲓᲝᲛᲔᲚᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲗᲥᲕᲐᲡ ᲙᲐᲪᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲗ, ᲖᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲫᲣᲫᲣᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲗ, ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲚ ᲬᲚᲔᲑᲘᲡᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲒᲝᲜᲘᲔᲠ ᲙᲐᲪᲐᲓ ᲒᲔᲩᲘᲕᲔᲜᲔᲑᲐᲗ. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ, ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲨᲐᲒ-ᲨᲐᲒ ᲑᲐᲙᲔᲑᲘᲐᲜᲘ, ᲬᲔᲚᲨᲘ ᲛᲝᲮᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲦᲠᲛᲐᲓ ᲩᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲐᲜᲓᲘᲡᲮᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲑᲣᲚᲕᲐᲠᲖᲔ,—ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ?

— ᲓᲘᲐᲮ, ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲔᲡ ᲣᲡᲐᲗᲣᲗᲝᲗ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ; ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲘᲐ, ᲢᲧᲣᲘᲚ-ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲗ ᲐᲠ ᲡᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲡ ᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ-ᲛᲘᲬᲐᲖᲔ; ᲘᲛᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲘᲡᲚᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲬᲘᲠᲐᲕᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ; ᲑᲔᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ ᲬᲔᲚᲨᲘᲪ ᲛᲝᲣᲮᲠᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲘᲠ!

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲡᲔ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲐᲛ ᲙᲐᲪᲡ ᲛᲔᲪᲝᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲕᲘᲜᲪ ᲥᲝᲯᲝᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲔᲡᲬᲠᲔᲜ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ, ᲕᲘᲪᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲒᲣᲚᲛᲢᲙᲘᲕᲜᲔᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲐᲘᲗᲮᲝᲛᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲛ ᲒᲣᲚᲛᲢᲙᲘᲕᲜᲔᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡᲕᲔ ᲨᲔᲕᲘᲜᲐᲮᲐᲕ. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲢᲐᲠᲝᲡᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲛᲔ ᲘᲛᲘᲗ ᲓᲐᲕᲠᲬᲛᲣᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗ ᲛᲝᲪᲘᲜᲐᲠ ᲡᲐᲮᲔᲡ ᲕᲔᲠ ᲜᲐᲮᲐᲕᲓᲘᲗ ᲐᲥ ᲘᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ: ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛ ᲢᲐᲠᲝᲡᲡᲐᲕᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲚᲠᲣᲑᲚᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲚᲣᲨᲣᲚᲘ ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲜᲘ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲡᲐᲥᲕᲔᲧᲜᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐᲡ ᲰᲤᲘᲥᲠᲝᲑᲔᲜᲝ, ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲠᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲗ, ᲘᲡᲔ ᲛᲘᲔᲨᲣᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲓᲦᲐᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ.

*

ᲒᲐᲡᲐᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛ, ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲒᲝᲜᲘᲔᲠ ᲙᲐᲪᲐᲓ ᲒᲔᲩᲘᲕᲔᲜᲔᲑᲐᲗ. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ, ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲨᲐᲒ-ᲨᲐᲒ ᲑᲐᲙᲔᲑᲘᲐᲜᲘ, ᲬᲔᲚᲨᲘ ᲛᲝᲮᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲦᲠᲛᲐᲓ ᲩᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲐᲜᲓᲘᲡᲮᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲑᲣᲚᲕᲐᲠᲖᲔ,—ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ?

— ᲓᲘᲐᲮ, ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲔᲡ ᲣᲡᲐᲗᲣᲗᲝᲗ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ; ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲘᲐ, ᲢᲧᲣᲘᲚ-ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲗ ᲐᲠ ᲡᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲡ ᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ-ᲛᲘᲬᲐᲖᲔ; ᲘᲛᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲘᲡᲚᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲬᲘᲠᲐᲕᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ; ᲑᲔᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ ᲬᲔᲚᲨᲘᲪ ᲛᲝᲣᲮᲠᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲘᲠ!

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲡᲔ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲐᲛ ᲙᲐᲪᲡ ᲛᲔᲪᲝᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲕᲘᲜᲪ ᲥᲝᲯᲝᲠᲨᲘ ᲓᲐᲔᲡᲬᲠᲔᲜ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲮᲠᲘᲚᲘᲐ....

ᲓᲝᲗ ᲒᲐᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲪᲣᲓᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ? ᲛᲒᲝᲜᲘᲐ, ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲜᲓᲘᲚᲝᲡᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲪᲘᲜᲔᲗ ᲒᲐᲘᲚᲘᲛᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲘᲒᲝᲜᲔᲑᲔᲜ ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲡ: „ᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ, ᲠᲘᲡ ᲪᲣᲓᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲝ?“ ᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ. ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲡᲬᲚᲘᲗ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲐᲠᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ ᲐᲛ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ; ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲗ ᲐᲦᲖᲠᲓᲐᲖᲔ, ᲓᲐ ᲘᲛᲐᲗ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲖᲔ, ᲓᲐ ᲐᲛ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც კაცების სასიამოვნოთ და მისაზიდავათ გამოადგებათ იმათა, მაგ. ცეკვას, მუზიკას, საზოგადოებაში კეკლუცურად თავის დაჭერას, ცოტა ფრანცუზულ ენაზე ბურტყულს დასხ. ამ გვ.! რას უჩურჩულებენ მუდამ ყურებში ქალს? Mითქმის დაბადებიდგანვე მხოლოთ იმას, რომ ის ქალია, რომ რაც კაცისთვის აუცილებელათ საჭიროა (მაგ. სწავლა, შრომა), იმისთვის ქალი მაგდენათ თავს არ უნდა იწუხებდეს!... შეიქნება თუ არა გასათხოვარი, იმას დუწყებენ ჩურჩულს მდიდარ ყმაწვილ კაცებზე, ასწავლიან — როგორ უნდა მოიქცეს, რომ თავი მოაწონოს ამ მდიდარ საცოლო კაცებს და ცოლათ გაუხდეს და სხვ. ჩვენში ისეთი უგუნურება სუფევს ჯერ კიდევ, რომ გასათხოვარ ქალსა სილამაზისა და მზითვის შეტს არას მოვთხოვთ ხოლმე; თუ ამასთან იმას რომელსამე ჩვენს ქალების სასწავლებელში კუოსი შეუსრულებია, მაშინ ხომ რალა! — ამისთანა გასათხოვარ ქალს, ჩვენი საცოლო კაცები, როგორც მგელი ცხვარს, ისე დაიტაკებიან! ქალის ხასიათზე, ჭკუაზე და ზნეზე მცირედ ყურადღებასაც არ მიაქცევენ ხოლმე ჩვენში. Aმიტომაც არის ასე ხშირი უკმაყოფილება ცოლ-ქმარს შუა; ამიტომაც გვესმის ჩვენ ხშირად, რომ ამა და ამ ადგილას ახლათ გათხოვილმა ქალმა ქმარი მიატოვა და სხვასთან გაიქცაო, მეორე ალაგას ახლათ დაქორწინებულმა კაცმა ცოლი მიატოვა და აგრეთვე გაიქცაო და სხ.

Dიდათ სანაღველელი და სამწუხარო ამას გარდა ის არის, რომ ჩვენში დედ-მამები და სასწავლებლები ახალგაზდა ქალს საკუთრათ ქმრისათვის ზრდიან და ამზადებენ და არა თავიანთი თავისთვის. Mართლაც, ახლანდელი ქალები დედ-მამის ხელიდან და სასწავლებლებიდგან ისე გამოუცდელნი და უხასიათო გამოდიან, იმათ ისე ცოტათ იციან საზოგადოების ცხოვრება, რომ მარტო, თავისთავათ და სხვის დაუმოკიდებლათ ცხოვრება სრულებით არ შეუძლიანთ. Lმერთმანი, სირცხვილი უნდა იყოს ადამიანისთვის, რომ ის მუდამ სხვას შესჩერებოდეს პირში — და თვითონ კი ხელის განძრევას არ კადრულობდეს! Mართალია, ამ ჟამად ქალს ხელის განძრევაც რომ უნდოდეს, ხშირად ბევრის გაკეთება ვერ შეუძლია, ბევრს რასმე ვერ მოჰკიდებს ხელს, რადგან ეს ხელი შეკრული აქვს იმას; მაგრამ, საუბედუროთ, რისიც გაკეთება შეუძლია ამ ჟამად ქალს და ვალდებულიც არის გააკეთოს, იმასაც ვერ ახერხებს რიგიანათ; სხვა არიყოს, შვილების აღზრდა, მომავალი შთამომავლობის მომზადება ცოტა საქმეა? Aბა, ბევრი გვყეანან ჩვენ ისეთი დედები, რომ ძუძუსათანავე ჩაენერგოსთ თავიანთ შვილებში კაცთ-მოყვარეობა, მხნე გული, პატიოსანი ხასიათი და ბოროტის სიძულილი?... შემდეგში, უეჭველია, ქალებს უფრო და უფრო გაეხსნებათ ხელები, იმათ თან და თან მიენიჭებათ ის უფლებაები, რაც აქამომდი მარტო მამათსქესს ჰქონდა მინიჭებული, ერთი სიტყვით, იმათ მიეცემათ საშუალება სხვის დაუმოკიდებლათ ცხოვრებისა; მაშ ჩვენ დედ-მამებს მშობლიური ვალდებულება გვდევთ ახლა კარგათ მოამზადონ ამ დროსთვის თავიანთი შვილები. Eს მომზადება, რასაკვირველია, მდგომარეობს საფუძვლიანი სწავლის მიღებაში და გონების გახსნაში....

საქართველო

Mთავარ სამართველოს უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი, სენატორი თ. Bაგრატიონ-Mუხრანსკი ამ გაზაფხულს იცხოვრებს Kოჯორში, და, ვისაც იმის ბრწყინვალების ნახვა სურს, შეუძლია იქ ნახოს სამშაბათობით და შაბათობით, დილის 11 საათზე, Mარზოევის აგარაში. —

*

Aფხაზეთში მონატრების და შკოლების გამართვის ამბავს, რომელიც „Dროების“ წინა ნომერში იყო მოყვანილი, გ ზ. „Голосъ“ უმატებს კიდევ შემდეგს: ერთი იქაური ძველი მონასტრის შესაკეთებლად, რუსული მონასტრების და შკოლების გასამართავად, ანგარიშით, დასჭირდება თურმე ამ თავით 2,000 მან. და მერე ყოველ წლობით — 3,000. Jერჯერობით კი ამ საქმის სისრულეში მოყვანა ვერ ხერხდება, რადგან ვერ მონახეს ის წყარო, რომლიდგანაც ეს ხარჯი უნდა შემოვიდეს.

Гол. № 166.

Wლევანდელი ზაფხული საკვირველი ზაფხულია. Yოველი მხრიდგან უჩივიან სიცივესა და ავდრებსა. Aხალციხისაკენ თოვლი მოსულა, Iმერეთში დიდი წვიმები ყოფილა; რაჭაში თოვლსა და წვიმას დიდი ზიანი მიუცია, ვაზები წაუხდენია და ყანები ნიალვრებს წაულია; მთებში ქაკავის გზაზე თოვლი მოსულა, (25 წარსულ თვეს), ღამ-ღამე ყინვები ყოფილა და მწვანე ბალახი სულ დაუძრავს, ასე რომ საქონელს საჭმელათ არ გამოადგებაო; სტავროპოლშიც წვიმებიაო. Eს გარემოება მუშა — ხალხს ძალიან დაუშლის მინდვრის მუშაობასა და კალოებსაც დიდ ხანს შეაყენებს, თუ სხვაც რამ ზიანი არ მისცა.

*

Kახეთში და Cიზიყში თუმცა კარგ მოსავალს მოელიან პურისას და ღვინისას, მაგრამ ამ ზამთარს შიმშილმა ასეთ ვალებში ჩააგდო გლეხობა, რომ მოსავალიც ვალში გავა და კიდევაც ვერ გადიხდისო, ამისთანა ამბები გვესმის.

*

Tელავის წმ. ნინოს სასწავლებელში წელს, როგორც „Kავკასის“ კორრესპონდენტი იწერება, ექვს ქალს „შეუსრულებია სწავლა: Aნასტასია Aნდრონიკოვისას, Dარია და Sოფიო Bახვახოვისას, Eკატერინე Bაჩნაძისას, Bარბარე Rუსიევისას და Sიდონია Sულხანოვისას. 11 ივნისს ყოფილა აქტი და ერთ მასწავლებელს ამ აქტზე წარმოუთქვამს სიტყვა, რომელშიაც ურჩევია ქალებისთვის სხვათა შორის, რომ შემდეგშიაც უნდა სცდილობდენ ისინი სწავლას და ცოდნის შეძენას, უნდა სცდილობდენ, რომ, ამ სწავლის შემწეობით, გამოადგენ როგორც თავიანთ თავს, აგრეთვე საზოგადოებასაც. —

*

Bევრთაგან შენიშნულია, რომ ყოველ ცუდ მოსავლიან წელიწადს, როდესაც სოფლებში პურის დიდი ნაკლებულობაა, გლეხებს ქალაქში ჩამოჰყავთ ცოლ-შვილი და აქ ბინას იკიდებენ. Mითონ დგებიან ასასებათ, ყარაულებათ, რვა ცხრა წლის გოგო-ბიჭს მსახურათ ან ხელობაზე აყენებენ და ხანდისხან ცოლსაცა ძიძათა; უფრო ხშირათ კი ცოლს არ იშორებენ და ერთ ჭერ ქვეშა სცხოვრებენ. Wრეანდელი წლის გაჭირებამაც ქალაქში ჩამოიყვანა ჩვენი სოფლის გლეხები ცოლშვილითა, რომელთაც სოფელში ამ ზამთარს ყოველივე თავისი ქონება გაუყიდნიათ და ნახევრათ შიშველები ჩამოსულან უკეთესის ბედის საძებნელათა.

*

Eრთი კარგი ამბავი გავიგონეთ მამულგაყიდვისა თავადებისაგან. ბლო იბზე სოფ. თეოში საძოვარი ადგილი ჰქონია ალ... ერთ იჯარადარს, რომელიც ჰკრეფდა გლ... ბისაგან ფულსა. Aმ იჯარადარსა და სოფ... შუა უკმაყოფილება მამხდარა, გლეხებს ... მიათ იჯარადარი და გაუგდიათ; ამასთანავ... მულის პატრონისთვის შეუტყობენებიათ იჯ... დრის გაგდება და უთხოვნიათ, მამული ... გვყიდეო. Mამულის პატრონს გაუშინ... რომ ყოველგვარ უსიამოვნებას, მუდამ თ... ყურის დევნასა და მოუსვენრობას სჯობ... მულები მიჰყიდოს სოფელსა; მიუყიდნია ... ფლისთვის. Aმ ჟამათ არაფერი უსიამ... არ არისო გლეხებისაგან. Aმ გვარი მშ... ბიანი საქმის გათავება ყველასა სჯობ... სურველია, ამ ზემოხსენებული ამბის გა... ება დაწერილებით ვიცოდეთ.

*

Sოფელს Pატარძეულში შკოლა აქვს მართული იქაურ სომხის მღვდელსა, რომ... ლიც ფულით ასწავლის ყმაწვილებსა. ... ლებულ გლეხებს იმასთანა ჰყავთ ყმაწვილ... ასწავლის წერა-კითხვას.

*

Mცხეთაში სამი სასწავლებელია, წარმ... გინე, მკითხველო. Eრთი ქალების სასწ... ბელი სამოლოზნოშია, ორი სვეტიცხოვ... საყდრის გალავანში, ერთსა და იმავე შენ... შია. Eრთი შკოლა დიაკვანსა აქვს ... თვის და მეორე მოლოზანს ნინოს (ქეთევ... რომელიც ასწავლის ქალებსაც და ... ერთათ. Yმაწვილებს არა ერთ ქეთ... იქით წიგნს, ქალალდს, საწერ-კალამს ... მოლოზანი ხარჯავს.

*

Kავკავის გზაზე წასულ კვირას თოვ... და ყინვებს დიდძალი ცხვარი და ძროხა ... ფუჭებია. Aგრეთვე Mრიალეთზე მოს... თოვლს გაუფუჭებია ძროხა თითქმის ... რი; ცხვრისთვის კი ზიანი არ მიუცია.

*

Mოზდოკიდგან იწერებიან, რომ ... საქონელს და ცხენის ჯოგებს დარეია ... ბირის ჭირი. Pირუტყვს მუშტის ოდენ... წუკი გამოსდის და კვდება. Aმ ჭირის გ... იმას აბრალებენ, რომ Pროხლადნის სტ... ასთან ცხვრის ფარა გაუფუჭებია მგელს...

გიერთ ფილოსოფიურ საგნებზე სჯის შემდეგ, როცა სრულიად შემოგვაკლდა სხვა სამასლაათო საგნები, ჩვენ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი კაცის ცხოვრებაზე, „ამა სოფლის ამაოებაზე და სხ. ამ გვარ საგნებზე. Bოლოს თითოეულს ჩვენგანზე და ჩვენს ნაცნობებზე შეექნა სჯა. Aმ ლაპარაკიდან — მე, ჩემი მეგუსაიფე და უგრძნობელად, თვითონ იმაზე გადავედი და ვკითხე: რა მიზანს მისდევს ის სიცოცხლეში და რისთვის სცხოვრებს ქვეყანაზე? — რისთვის სცხოვრებო! Rოგორ თუ რისთვის? მე ვცხოვრებ იმისთვის, რომ... (ცოტა არ იყოს დაიბნა და შეჩერდა)... იმისთვის ვცხორებ, რომ... Eჰ, რა დროს მაგაზე ლაპარაკია! Mართლა, რა უნდა მეკითხა შენთვის, ორშაბათს იყავი Mუშტაიდში, თუ არა?

*

Mეორეთ, როცა კიდევ ფილოსოფიურათ ვიყავი მომართული, ერთ ჩასუქებულ ვაჭარს მივეცი ამნაირივე კითხვა. Pარონ Bეურქს ძალიან გაუკვირდა:

— Eა! ე როგორი პასუხია? Lმერთს მოუცია, ეშე, სიცოცხლე და ვცხოვრობ. ნუ იცი, მამა გიცხონდა, ეგრეთი მჭავე სიტყვები! შენ მითხარ, მოწყალებით გავალებული ფულის ამოგება როგორ მოხერხდება?

Eს ორმა გადაგვიგდო ბანზე სიტყვა. Sამების ძალით, მე ამე მაგალითსაც მოვიყვან და მაშინ, იმედია, დარწმუნდებით, რომ ჩვენ არ ვიცით რისთვის ვცხოვრებთ ქვეყანაზე.....

Dალიან მიყვარს მე ჩვენი დარბაისელი მებატონე: რათ ღირს ერთი იმის შეხედვა, როცა, სოფელში ნამუშევრის მოწვევის შეადეგ, ჩამოდის ის ქალაქში და ლაზათიანათ, ხელების ქნევით და ყურთმაჯ გადაგდებული, დასეირნობს ამაყათ Bალავინის პროსპექტზე! Dიახ, ძალიან მიყვარს მე ქართველი მებატონე! Dა ამიტომ იმათი გაცნობა, იმ თთან მასლაათი და დროს გატარება ჩემთვის ძლიერ სასიამოვნო საქმეა. Mე ვიცნობ ერთ Tელაველ თავადისშვილს, რომელიც ჩემმა კითხვამ ვაჭარზე უფრო გააკვირვა.

— Mე რისთვის ვცხოვრებ? Mე? Mისთვის ვცხოვრებ, რომ ვცხოვრებ! Dაებადებულიარ და ვცხოვრებ; ძალით ხომ ვერ მოვკვდები!

Mე შემეძლო კიდევ მომეყვანა მარსისა და Tემიდის მოსამსახურეების პასუხი ჩემ კითხვაზე, მაგრამ, ჩემი აზრის დასამტკიცებლათ, მგონი, ესეც კმარა.

*

Mე შევიტყე, რომ ზოგიერთები, განსაკუთრებით ქალელები, ეშდუბიან თურმე „დროებას;“ ამ სამდურავის მიზეზი, როგორც გავიგე, ეითომ ის არის, რომ „Dროება“ „Mუდამ ჩვენ (ქართველების) ცუდს ამბობსო და მუდამ სჩხრეკს და ამჟღავნებს ჩვენს ყოველგვარ ნაკლულევანებასაო.“ Lმერთო, შენ დაგვიფარე ამისთანა ცილის-წამებისაგან! Tუმც „Dროების“ რედაქცია სრულებით არა ჰსთელის თავის თავს ამ ბრალდებულებაში დამნაშავეთ, მაგრამ, თავის გაზეთის მომდურავების დასაკმაყოფილებლ-დ და დასამშვიდებლად, შემდეგში ის ეცდება მაინც უფრო ხშირად შეასხას ქება სხვა და სხვა საგნებსა და მოვლენაებს. Eრთი ქების შესხმა ჩემმა თანამოძმემ, უფსკანდელმა, დამასწრო; ახლა მე ვეშურები შევასხა ქება ერთს ისეთს რასმე, რაც, ჩემი აზრით, ყველაზე უფრო ღირსია ამისი: მე მინდა შევასხა ქება „კუჭს,“ იმ კუჭს, ურომლისოთ გაძლება არავითარ სულდგმულს არ შეუძლია.

*

„Kუჭო! Sაკვირველნი არიან საქმენი და მოქმედებანი შენნი! Vინ იცის, რა მოხდებოდა ჩვენს დედა-მიწაზედ, შენ რომ არ ყოფილიყავი? Vინ იცის, მოიგონებდა უშენოთ კაცი წიგნის ბეჭდვას, რკინიზ გზას, ტელეგრაფს, ცეცხლის გემს, თუ არა? Mე კი ვფიქრობ, რომ ვერა; ამიტომ რომ, როცა ამათი გამომგონნი მუშაობდენ, უეჭველია, შენ ჰყავდი მაშინ იმათ სახეში. Rამდენ სიამოვნებას მოაკლდებოდა ადამიანი უშენოდ? Sეიძლება, არც თეატრები და არც კონცერტები გაჩენილიყვნენ ქვეყანაზე! Uშენოდ, ვინღა ჩაიგემებდა პირს ჩვენი ჩიხირთმით, ვინღა ჩაისვეღებდა ყელს ჩვენი კახურით, უშენოდ ვინღა გაძღებოდა ლორით ისე, რომ ნასადილევს განძრევაც არ შესძლებოდა? Vინ არ იცის, რა კარგ გუნებაზედ არიან ნასადილევს ისინი, ვინც კარგათ გაპატიებენ შენ და რამდენი კეთილი და სასარგებლო საქმე გაკეთებულა ამ დროს ქვეყანაზე?

*

„Kუჭო! Sენ ხარ კაცობრიობის წარმატების ზეზი: უშენოდ კაცობრიობა, უეჭველია, ... პობოდა, რადგან ერთ წერტილზე უნდ... ჩერებულიყო და ყველაფერი, რაც უძ... უსათუოთ მკვდარია. Sენი წყალობით გ... ქვეყანაზე მწიგნობრობა; უშენოდ ჩვენ ... ველირსებოდით არც „Cისკრისა“ და „Mნათობის“ ხილვას!

*

„Kუჭო! Mართალია, ამ უთვალაე ღირს... თან შენ ზოგი ნაკლულევანებაც გაქვ; მ... ეს ნაკლულევანებები ისე არიან შესადარებ... Sენს უთვალაე ღირსებებთან, როგორც ... ერთი წვეთი მთელ ზღვასთან! მე შემ... გამეხსენებინა, მაგალითად, შენთვის, სულ-მოკლე და მოუთმენარი ხარ. მ... ძლო მეთქვა, რომ ზოგიერთი ხალხების დურებას შენ გაბრალებენ, ამიტომ რომ ... თობ ხშირათ თხოულობ სიკვებს... მე ... ლო ზოგიერთი სხვა ეშმაკობაც გამეხსენ... ნა, მაგ. ის რომ Vოლტერის გესლს და ... თოობას შენს ავათმყოფობას აბრალებ... მაგრამ ამ ქების შესხმაში მე სრულ... არა მსურს, Sენი ორიოდე ნაკლულევან... ჩამოთვლით, დავაბნელო ზემოთ დახატ... Sენი ბრწყინვალე სურათი!

„Mაშ უკანასკნელად კიდევ გეტყვი: ნ... ხარ Sენ, კუჭო! Mით უფრო ნეტარ ხარ, ... ადამიანმა გიცნო და ჯეროვანად დააფას... ნი ღირსებები: ის თაყვანს გცემს Sენ... ხშირად მთელი თავის სიცოცხლეც Sენ... შეუწირავს!“

Ს. Wკეპლაძე.

ონებს გატყავების შემდეგ ცხვრის მძოვ-
მინდორზე გაუშვიათ. თუ ყურადღება არ
ქცევ', შეიძლება, რომ ძალიან გავრცელ-
და კაცსაც გადაედოს; მოზდოკელებიც
შიშობენ.

*

ქართლიდგან. ბორჯომში ყოფილა ამ
ბანში საშინელი სეტყვა: ამბობენ,
ამ სეტყვას თითქმის სრულებით გაუ-
�ია ბორჯომის ახლო-მახლო მინდვრებ-
პური და ბალახი, გაუშიშვლებია ხეები და
ითონ დაბაში ფანჯრები დაემტვრევია. მაგ-
ამ ეს კიდევ არაფერი: თრიალეთში უარესი
ქმეები ჩაუდენია სიცივესა და თოვლს.
ქვენ გეცოდინებათ, რომ თითქმის მთელი
რთლის, თუშეთის და ზოგიერთი ოსმალოს
ზრების საქონელს თრიალეთის მთებზე და
ლობებზე მოდენიან ხოლმე, ზაფხულობით,
ოერათ. იქიდან ჩამოსული მეზვერეებისა-
ნ გავიგონე, რომ უდროეოთ მოსულ თოვლს
სიცოცხლეებს საშინელი ზიანი მიუცია პირ-
ყვის პატრონებისთვის: ერთმა მეზვერემ
თხრა, რომ მარტო მე დამეხოცა სამასი თავი
ქონელიო.—სხვათა შორის ამ სიცივეებმა გა-
ფუჭა (დასძრა) ჩვენში წვანილეულება. მა-
ამ, მართალი რომ თქვას კაცმა, ბოსტნე-
ლობის ძლიერ კარგი მოსავალიც ბევრს არ შე-
ტებს, ამიტომ რომ აქ, ქართლში, სრულიად
იკან არც კარტოფილის, მაგალითად, არც
ბოსტოს, არც კიტრის და არც სხვა რას-
ბოსტნეულის შენახვა საზამთროთა. აგრეთ-
ხილიც, რაც მოვა, სულ ზაფხულშიევ უნ-
შეჭამოს. მარტო ლიახვის ნაპირა სოფ-
ებსა აქვთ ზოგან კარგათ გამართული ხი-
ის ბაღები და აქედან ქალაქშიაც ჩააქვთ ხი-
გასასყიდლათ. როგორც გამიგონია, ლია-
ლები ხენა-თესვას მავდენათ არ მისდე-
ნ, რადგან ხილის მოყვანაში და გაყიდვაში
ერთ მომეტებულ სარგებლობას პოულო-
ნ.—წასულ კვირას ზოგან აქ ჯერ დ-უმწი-
ური ქერი მომკეს და იმის პურს სჭამენ: იქ-
ა თავი დაეირჩინოთ რამე რიგათ პურის
ასელამდინაო.—ამას წინ-თ რამდენიმე სო-
ლის გლეხებმა წაიღ-ს ქაეკავში თ. ელიზ-
ერ ერისთვის ქარხნიდგან სხვა და სხვა
ეშები აფთიექებისა და გოშპიტლებისთვის;
ებული ფულებით იმათ იყიდეს იქ სიმინდი
პური ჩამოიტანეს; სიმინდში (შვიდ ჩანახში)
ათხი აბაზი მიეცათ და პურში—რვა.

ქ. ბ.

ბორი 28 ივნისს.

რუსეთი

„პეტერბურლის უწყებაებში“ სწერენ: „ჩვენ
ეგონეთ, რომ იმ კამისიას, რომელიც და-
ებულია სახალხო განათლების მინისტრი-
გან ჩვენში რეალური განათლების გასაერ-
ებლებლად, ჰსურს, სხვათა შორის, გახსნას
ადეე ოცდა ოთხი რეალური გიმნაზია; და
ათში შაგირდებმა იმდენი სწავლა უნდა მიი-
ონ, რომ კურსის დასრულების შემდეგ,
ათ ადგილათ შეეძლოსთ სწავლის გაგრძე-
ება უმაღლესს სპეციალურს სასწავლებლებ-
ი, მაგ. სამეურნეო, სატყეო, ტეხნოლო-
ურს, სამთო და საგზო ინსტიტუტებში.“

*

ბინსკის გუბერნიის, სოფელს ოსოეში მომ-
დარა შემდეგი შემთხვევა: თებერვლის ოცდა-
ამს სოფლის ნაცვალს შეუკრებია თემი გა-
ასახადის დ-ს დებად; მოლაპარაკების დროს,
ნაცვალს არ მოეწონა ერთი გლეხის სჯა,
ეაწვენინა და იქვე გაწკეპლა. ნახეს თუ არა
გლეხებმა ამნაირი უკანონო მოქმედება ნაცვ-
ლისა, უთხრეს, რომ იმას არა აქვს უფლება
თ ემოდ ენმე დასჯოს; ნაცვალმა გლე-
ებს უპასუხა ამაზე, რომ იმას შეუძლია ყვე-
ისინი გიროზგოს, თუ რასმე გაბედავენ;
ეგ ის წავიდა სამოკანონოში და სასმე-
ლებს შეექცეოდა. ბლეხები ოთხ საათს უც-
დიდენ, და, როცა აღარ ელირსათ იმის დაბ-
რუნება, თვითონ წავიდენ დუქანში და სთხო-
ვეს—ნუ გვაცდეეინებ ტყუილ-უბრალოთაო.
მაგრამ ნაცვალმა, პასუხის მაგიერათ, ლან-
ძღვა და მუქრება დაუწყო გლეხებს; გლეხე-
ბი გამოვიდენ მოთმინებისაგან და მიან-
დეს ერთ მოხუცებულ გლეხს, რომ ნაცვ-
ლობის მენდალი ჩამოეხადა იმისაგან; მედა-
ლი დაკიდეს მეორე გლეხს და სთხოვეს, რომ
მომრიგებელი მოშუამდგომლის მოსელამდინ
იმას აესრულებინა ნაცვლის თანამდებობა.
26 თებერვალს სოფელში მოვიდა ქალაქიდ-
გან მომრიგებელი მოშუამდგომლე; გლეხებ-
მა მისცეს იმას არზა ნაცვალზე და თან სიტ-
ყვიერათაც განუცხადეს საჩივარი. მოშუამ-
დგომლე ჯერ სცდილობდა შეერიგებინა ნაც-
ვალი და გლეხები, მაგრამ ვერაფერი ვერ
გაარიგა, რადგან გლეხებმა გარდაწყვეტ-
ით სთქვეს, რომ ჩვენ არას გზით აღარ
გვინდა ძველი ნაცვალიო, მოშუამდგომლე
დაბრუნდა ისევ მინსკში და მთავრობას შეა-
ტყობინა, რომ გლეხები „აბუნტდენო.“ მე-
სამე დღეს ოსოეში მოვიდენ ორი პოლი-
ციის ჩინოვნიკი და მოშუამდგომლე სალდა-
თებით და ყაზახი-რუსებით და გაუკითხავათ
დაუწყეს გლეხებს როზგით ცემა. შემდეგ ამ
საქმეზე შეადგინეს აქტი და სასამართლოს
გადასცეს, მაგრამ რითი გათავდა ეს საქმე ჯერ
კიდევ არ სწერენ გაზეთებში.—*Моск. Вѣд.* № 161.

ზოგიერთი რუსეთის მემამულეები და მეო-
ჯახეები ყოველ წელიწადს შეიკრიბებიან ხოლ-
მე პეტერბურლში და აქვთ სჯა სხვა და
სხვა მეურნეობის საგნებზე. თითოეული იმათ-
განი ამბობს—რა და რა მოჰყავს იმას თავის
მამულში, რა და რა სამეურნეო მაშინები
უფრო გამოსადეგნი დარჩენ, რის შემოღებას
აპირებს და რომელმა ნაწარმოებმა უფრო
გაიხარა, ან არ ივარგა. ამნაირად აცნობენ
ისინი ერთმანერთს სასოფლო მეურნეობის სა-
ქმეს, რომლიდგანაც ყველანი სარგებლობენ.
ამჟამად პეტერბურლში არის მემამულეების
ამგვარი კრება, რომელსაც სხვათა შორის სა-
მი სტიპენდია—თითო სამას მანეთიანი—და-
უნიშნავს იმ სტუდენტებისთვის, რომელნიც,
სამეურნეო აკადემიაში კურსის შესრულების
შემდეგ, მოინდომებენ პრაქტიკულათ მეურნე-
ობის სწავლას რომელსამე რუსის მეოჯახის
მამულში.

*

„მოსკოვის უწყებაებში სწერენ, რომ
15 ივნისს მიდის ყაზანში სენატორი პერცო-
ვი ახალი სასამართლოების გასამართავათ.
როგორც ამბობენ, აგვისტოს პირველისთვის იქ
გაიხსნება ოლქის სასამართლოები და სა-
მოსამართლო პალატა. ახალი სასამართლო-
ები ყაზანის გუბერნიაშიაც იმ რიგათ იქნება
გაწყობილი, როგორც დანარჩენ რუსეთში
არიან, ე. ი. მომრიგებელ მოსამართლეებს
თვითონ ეროობა ამოირჩევს, აგრეთვე იქნე-
ბიან ნაფიცი მოსამართლეებიც. *Гол.* № 162.

*

მკითხველს უნდა ახსოვდეს ჩვენ გაზეთის წინა ნო-
მერში აწერილი ამბავი, რომელიც მოხდა პეტერბურ-
ლში ერთს ბამბის ფაბრიკაზე: რვაასმა მუშა-კაცმა შე-
თქვეს პირი, რომ, სანამ დღიურ ჯამაგირს არ მო-
გიმატებენ, მანამ არ ვიმუშავებთო, და მართლაც, უარი
რომ უთხრეს, იმ დღესვე, ერთად მიანებეს თავი მუშა-
ობას (стачка). „დროების“ მე-24 №ში იყო ამას
გარდა მოხსენებული, რომ, თუ მუშებს თავი უნდათ
დაანებონ მუშაობას, კანონით, ერთი თვით წინ უნდა
შეატყობინონ ეს ამბავი ფაბრიკის პატრონს.—ახლა
გაზეთები გვაცნობებენ, რომ პეტერბურლის ოლქის
სასამართლოს გაურჩევია ეს საქმე და გარდაუწყვეტია,
რომ ოთხი ამ მუშებთაგანი დატუსალებულ იქმენ პო-
ლიციაში შვიდი დღის ვადით, და დანარჩენი ორმოცა-
და თერთმეტი კაცი სამი დღის ვადით უნდა ჩაისვან
პოლიციაში. ხუთი კაცი კი სასამართლომ სულ გაამარ-
თლა.

*

ქ. ხერსონში უეზდის სასწავლებელთან გაუხს-
ნიათ პედაგოგიური კურსები, სადაც ამ სასწავ-
ლებელში კურს შესრულებულები უნდა მოამ-
ზადონ სახალხო შკოლების მასწავლებლებად.

*

აი, რას სწერენ იმ დიაკვანს—ნიკოლსკიზე,
რომელმანც, თუ ახსოვს მკითხველს, საყდარში, წირ-
ვის დროს, სილა გაარტყა ქალუგის არქიელს: „თოთხ-
მეტი წელიწადია, რაც ნიკოლსკიმ შასრულა სწავლა
ქალუგის სასულიერო სემინარიაში და მას აქეთ მუ-
დამ სცდილობდა მღვდლობის ადგილი ეშოვნა, მაგ-
რამ, არ იცის კაცმა—რა მიზეზისგამო, არ აძლევდენ.
ამას ისეთი ზედმოქმედება ჰქონდა ნიკოლსკის ხასიათზე,
ჭკუაზე და ყოფა-ქცევაზე, რომ, როგორც ამბობენ,
შარშან ექიმს დაუმოწმებია და უნახავს, რომ ის ცო-
ტათი ჭკუაზე არის შეშლილი“. *Спб. Вѣд.* № 161.

*

ნიჟნი-ნოვგოროდის რკინის გზაზე მუშა-
ობდა ერთი გლეხი, რომელ-აც ცოლიც თან-
ვე ჰყავდა. ეს დედა-კაცი, ახალგაზდა და ლა-
მაზი ქალი, მუშებს საჭმელს უმზადებდა;
მუშები აუტყდენ თურმე ამ ქალს და კურ-
კური დაუწყეს. ქმარს ეს ამბავი, რასაკვი-
რველია, არ მოსწონდა და იმასა და ცოლს შუა
ხშირი უკმაყოფილება იყო, როგორც ამ-
ბობენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ მუშამ
დაანება რკინის გზაზე მუშაობას თავი და შინ
წასელას აპირებდა; ცოლი კი იქვე რჩე-
ბოდა, რადგან იმას თავის საქმე ჰქონდა.
წასასელელად რომ დაადგა, ქმარმა სთხოვა,
რომ ცოტ ზე გამომყეეიო; ცოლი გაჰყვა;
გზაზე ქმარმა გინება დაუწყო ცოლს ეითომ
ღალატისთვის, ცოლი თავს იმართლებდა.
ბოლოს, როცა ისინი ჩაეიდენ ერთ თხრილ-
ში, ქმარმა ჯერ მუშტი ჩაჰკრა ცოლს თავ-
ში, მერე ამოიღო ჯიბიდან დანა და დაუწყო
ცემა, საცა კი მოხვდა: ცხვირ-პირში, გულ-
ში, ხელებზე და სხ.; ასე რომ ცოლი უგრ-
ძნობარე დაეცა მიწაზედ. ცოტა ხანს შემდეგ
ქალი წამოდგა ფ-, საშინლად დაკოდილი, და-
სუსტებული და დასისხლიანებული, დაბრუნ-
და შინისაკენ. გზაზე ვიღაცანი შემოხვდენ
იმას და, როგორც იყო, მიიყვანეს შინ. ქმა-
რი კი შინ არ მ-ულა და კაცმა არ იცის—
სად არის. ამ საქმეზე ახლა, როგორც გაზე-
თებში სწერენ, გ მოძიება არის თურმე შემ-
დგარი.

*

მოსკოვში შემდგარა ერთი ახირებული საზოგადო-
ება, რომელსაც ჰქვია სახელად „ცხენზე ჯდომის მო-
ყვარე საზოგადოება“ გაზეთი „რუსის უწყებაები“,
რომლიდგანაც ჩვენ მოგვყავს ეს ცნობა, ამბობს, რომ
ამ საზოგადოებას იქაური ბაუკეთესო გვარის ყმაწვი-
ლი კაცები შეადგენენო. დანიშნულება საზოგადოებისა
ის არის, რომ თვითონაც ისწავლონ რიგიანათ ცხენზე
ჯდომა და კარგი, ოორლა, საჯდომი ცხენებიც გაამე-
ნონ.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

ამ ჟამად საფრანგეთის ქანონმდებელ-ქორ-
პუსში გაცხელებული მოლაპარაკება არის „მ ე-
რ ე ბ ი ს“ ამორჩევის თაობაზე მერი ქალაქის ან
სოფლის პირველ პირს, უფროსს ჰქვია; რო-
გორც, ვ-თქვათ, ჩვენში გუბერნატორია გუ-
ბერნიის უფროსი, ისე მერიც რომელიმე დი-
დი სოფლის, ან ქალაქის უფროსია.—რესპუ-
ბლიკის დროს სოფლის და ქალაქის ყოველ
საქმეს განაგებდენ თვითონ ხალხიდგან ამორ-
ჩეული პირები, რომელნიც შეადგენდენ რ ჩ ე-
ვ ა ს; ამ რჩევას საფრანგეთში მ უ ნ ი ც ი პ ა-
ლ ი ტ ე ტ ს ეძახიან. ბადასახადის განწილება და
შეკრება, გზების გაკეთება, სახალხო განათ-
ლება (შკოლები), მშვიდობიანობის დაცვა და
სხვა ყველაფერი, რესპუბლიკის დროს, მუნი-
ციპალიტეტის ხელში იყო.—მუნიციპალიტე-
ტის თავიც, ესე იგი მერი ხალხის ამორჩეულ-
ი პირი იყო.—ნაპოლეონ ბონაპარტმა ეს წეს-
ი შეცვალა, და მერები, ხალხის ამორჩეული-
კი არა, მისი ბრძანებით ინიშნებოდენ. ბურ-
ბონებმა, თავიანთი დაბრუნების შემდგომ, ძა-
ლაში დატოვეს ნ პოლეონის წესი.

ლუდოვიკო-ფილიპე რომ დაჯდა საფრან-
გეთის ტახტზე, ეს კანონი შეიცვალა ასე,
რომ მერს, მუნიციპალიტეტის მ გიერათ,
თვითონ მმართებლობა ნიშნავდა ხოლმე; მა-
გრამ ის უსათუოთ მუნიციპალიტეტის წევრე-
ბ-დგან უნდა ყოფილიყო ამორჩეული. 1852
წელ-ს, როცა საქმე ნაპოლეონმა დაიპყრო
საფრანგეთის ტახტი, მერის ამორჩევას სრუ-
ლიად აღარ ჰკითხავდენ არც მუნიციპალი-
ტეტსა და არც ხალხს: მართებლობა თვითონ,
ვისაც უნდოდა და ვ-ნც უფრო ერთგული
მონა იქნებოდა იმისი, იმას აყენებდა. ამ ნაირს
მდგომარეობაშია ახლა მერების ამორჩევის
საქმე. ამ თვეში ორმა ოპპოზიციურმა დეპუ-
ტატმა—ჟულ-ფაერმა და ბრეეიმ ხელ-ახლაე
აღძრეს ქანონმდებელ ქორპუსში ამ საქმეზე
ლაპარაკი და შეიტანეს წინადადება, რომ მე-
რები ისევ მუნიციპალიტეტისაგან იქმნენ ამორ-
ჩეულნიო. მაგრამ მმართებლობა და ზოგი-
ერთი დეპუტატები არ დაეთანხმენ ოპპოზი-
ციას და ამის გამო ფაერისა და ბრეეის წი-
ნადადება ქორპუსმა უარჰყო.—

— უკანასკნელ დროს კიდევ გავარდა ხმე-
ბი, რომ იმპერატორი ნაპოლეონი ავათ არისო,
და ეს ამბავი ძალიან აწუხებს პარიჟის ბურ-
ჟუაზიას (ვაჭრებს), რომელთაც ეშინიანთ—ეაი
თუ მოკვდეს და არეულობა მოხდესო. ამას წი-
ნეთ იმპერატორი თავის ოჯ ხით საზაფხულ-
ოთ სან-ქლუში უნდა წასულ-იყო; გზაზე
სადღაც პოლიციამ ყუმბარები ნახა; ამბობენ,
რომ ამ ყუმბარებით ნაპოლეონი უნდა მოეკ-
ლათო. ამ ამბავმა, რასაკვირველია, კიდევ
უფრო შეაშინა და ააღელვა იქაურობა.—

— მთელს საფრანგეთში საშინელი გვალვა არის
თურმე ამ ჟამად, ასე რომ მდინარეები და ტბები ზო-
გან სრულებით დამშრალან და მცხოვრებლებს, როგორც
ამბობენ, მომავალი წლის მოსავლის იმედი აღარა აქვ-
თო. ბაზ. „ფ ი გ ა რ ო“ ახირებულ საშუალებას ურ-
ჩევს მმართებლობას წვიმის მოყვანისთვის; ის ამბობს,
რომ ზარბაზნები ისროლეთ ცაში და უსათუოთ წვიმა
მოვაო. ერთი სწავლული უმატებს ამას იმ გარემოებას,
რომ, ომიანობის შემდეგ, თითქმის ყოველთვის საშინე-
ლი წვიმები იცისო; მაგ. სევასტოპოლის აღების შემ-
დეგ დიდი წვიმა იყო იქაო, აგრეთვე სადოვთან ომის
შემდეგაც; ამ ახლო ხანში რომ ქონსტანტინოპოლში
საშინელი ცეცხლი იყო, მესამე, თუ მეოთხე დღეს,
როგორც გაზეთებში სწერენ, წვიმა როგორც კოკის
პირიდგან ისე ასხამდა თურმე. ამის გამო სამხედრო
მინისტრმა, სწავლულების რჩევით, მოახდინა განკარგუ-
ლება, რომ მარსის მინდორზე მანევრები და ზარბაზნის
ბოლოს სროლა გაიმართოსო.—

ინგლისი

ამ დღეებში გადაიცვალა ლონდონში გა-
მოჩენილი გარეშე საქმეების მინისტრი--ლორ-
დი ქლარენდონი. ამბობენ, რომ იმის ადგილას
ახლანდელი კოლონიის მინისტრი—ლორდი
ბრენვილი, დაიჭერსო.

— ქორკში (ირლანდიაში) იქაურ თერ-
ძებს თავი დაუნებებიათ მუშაობისთვის და
სანამ ჯამაგირს არ მოუმატებენ, მანამ არ
აპირებენ საქმის ხელის მოკიდებას. ჯარს დამ-
შვიდება მოუნდომებია ამ არეულებისა და
ამის გამო სისხლის ღვრაც მომხდარა. ამ-
ბობენ, რომ ეს არეულობა ფენიების საქმე-
ა.—

ესპანია

ბერლოგ მონპანსიეს, რომელსაც ამას წი-
ნეთ იმედი ჰქონდა ესპანიის ტახტზე შესვ-
ლისა, სრულიად დაუკარგავს ახლა ყ[illegible]ი იმედი
და კიდეეაც გასულა მადრიდიდგან; ასე რომ
მართებლობამ ჯერ კიდევ არ იცის—ვიზე მიუ-
თითოს ხალხს და ვინ წარუდგინოს იმას ესპა-
ნიის ტახტის კანდიდატათ.—ამ თვის ოცდა
ოთხს მოსული ამბავი გვატყობინებს, რომ
ესპანიის ქორტესებს, მომეტებული სიცხის
გამო, შეუჩერებია თავის სხდომები და 19
ოქტომბრამდი არ შეიკრიბება. მაშასადამე

ხელმწიფის ამორჩევა, მეტ ხანს თუ არა, 19 ოქტომბრამდი მაინც ვერ მოხერხდება.—

— ესპანიის უწინდელ დედოფალს ისაბელას, რომელიც ეს ორი წელიწადია გამოსტუმრეს მადრიდიდგან, ახლა აუღია ხელი პარიჟში ესპანიის გვირგვინისაგან და დაუმკვიდრებია ის თავის ვაჟისთვის. ახლა იმას კი არა ჰკითხულობს — მოინდომებენ ესპანიელები თავის ხელმწიფედ ამ ვაჟს, თუ არა?

ამერიკის შეერთებული შტატები

დეპუტატს სომნერს შეუტანია უაშინქტონის სენატში წინადადება და უთხოვია, რომ შეერთებული შტატების მმართებლობამ განუცხადოს ესპანიას უკმაყოფილება იმ მოქმედებაებისთვის, რომელშიაც ის ჩადის კუბის დასამშვიდებლად.

სომნერმა სთქვა, რომ ჩვენმა მმართებლობამ უნდა ურჩიოსო ესპანიას, რომ ის არ ეპყრობოდეს ასე სასტიკათ და ბარბაროსულათ კუბელ განდგომილებს; ამას გარდა იმან უნდა მოუღოსო იქ ბოლო მონობას. „სამწუხაროა, განაგრძო სომნერმა, რომ ესპანიის მმართებლობას მაინცა და მაინც უნდა დაიმორჩილოს კუბა, როცა ამ კუნძულის მცხოვრებლებს კი სრულიადაც არა სურთ ესპანიის ხელ ქვეშ ყოფნა.“ —

სამართალი

თ. მამია გურიელის საქმე

დღეს (1 ივლისს) აქ ურმა სამოსამართლო პალატამ გამინჯა თ. მამია გურიელის საქმე, რომელიც დაწვრილებით აწერილი იყო „დროებაში“ (№ 17). მკითხველს ემახსოვნება, რომ აქაურმა ოლქის სასამართლომ თ. გურიელი უფ. იუფეროვის წვალებაში იცნო მტყუანათ, და სიმბირში საცხოვრებლათ გაგზავნა გადაუწყვიტა. თ. გურიელმა საქმე პალატაში გადაიტანა.

პალატაში, საქმის განხილვას დიდ ძალი ხალხი დაესწრო, ასე რომ მთელი ოთახი ხალხით გატენილი იყო. ეტყობოდა, რომ მსმენელები საქმეს ძალიან გულმხურვალეთ ყურს უგდებდენ. როგორც ოლქის სასამართლოში, პალატაშიაც ხალხში რამდენიმე ქალი ერია.

საქმის განხილვა, პალატაში, იმაში მდგომარეობდა, რომ პროკურორი (უფ. ანატოვი) ცდილობდა კანონში ნახსენები სიტყვა წვალება (истязаніе) განემარტებინა, და თ. გურიელის მოსარჩლე (თ. ამატუნი)—ცდილობდა, როგორც ოლქის სასამართლოში, უფ. იუფეროვის სიტყვების უსაფუძვლობა დაემტკიცებინა.

ამ საქმეს, როგორც ოლქის სასამართლოს წინ, ეგრეთვე პალატაში, ორი შესანიშნავი ნახარე ჰქონდა: ერთი იურიდიკული, რომელიც ძალიან დაწვრილებით გაიხილეს პროკურორებმა, და მეორე ზნეობითი, რომელიც თითქმის სრულიათ განუხილველი დარჩა. რადგანც პირველი მხარე ჩვენი მკითხველებისთვის საინტერესო არ არის, ჩვენთვის აქ საკმაო იქნება ვთქვათ, რომ პალატამ საქმე მით გადაწყვიტა, რომ თ. გურიელს, ღირსების აუხდელათ, რვა თვით სატუსაღოში ჩაჯენა გაუჩინა.

ხვარძიკიას საქმე

(ავაზაკი და კაცის მკვლელი)

„დროების“ კორრესპონდენცია ზუგდიდიდგან-

შარშან მაისს ჭუთაისის ოლქის სასამართლომ, აქ ყოფნობის დროს, გაარჩია აზნაური ხვარძიკიას საქმე და, ქვემო მოხსენებული დანაშაულობების გამო, გარდაუწყვიტა იმას: ღირსების ჩამორთმევა და სამუდამოთ სიმბირში გადასახლება. იმას აბრალებდენ: 1) კამბეჩის მოპარვას, 2) თავის ბიძის დამუქრებას: სიკვდილს დამუქრებოდა, 3) ბოლოს იმას, რომ ცხადი ურჩობა უჩვენა პოლიციას, დაჭირვის დროს. ამ სამი დანაშაულობის გამო, როგორც ზევით ვთქვი, ოლქის სასამართლომ გადაუჭრა ხვარძიკიას სიმბირში გადასახლება და ყოველი ღირსების ჩამორთმევა, მაგრამ გზაზე, როცა ის მიჰყავდათ ზუგდიდიდგან ჭუთაისს, როგორღაც გაიქცა და წელს ივნისამდინ პოლიციამ ხელმეორეთ ვერ იგდო ხელში. იმის დაჭერა მით უფრო საძნელო იყო, რომ უმეტეს ნაწილათ ენგურს გაღმა, აფხაზეთში, სცხოვრებდა და იქ გაქცეული კაცის დამალვა ჩვეულებათ აქვთ.

ამ წლის 7 თებერვალს, ღამით, რამდენიმე ავაზაკები დაეცნენ ზუგდიდს და, პოლიციასთან შეტაკების დროს, თვითონ პოლიციის პრისტავი მოჰკლეს; ზოგიერთი ნიშნებით, პოლიციამ ეჭვი აიღო, რომ ამ ავაზაკებშიაც ხვარძიკია უნდა რეულიყო. ამიტომ ამის შემდგომ პოლიცია კიდევ უფრო გაფთხილდა და ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდა იმის დასაჭერად. პრისტავის მოკვლის დროს ერთ ცამეტი წლის ბიჭს ესროლა ავაზაკებისთვის საფანტით გატენილი დამბაჩა და, როგორც ის ამტკიცებდა, ერთ ავაზაკთაგანს მოხვდაო. ამ თვის (ივნისის 2) ორს ერთმა კაცმა შეატყობინა პოლიციას, რომ ხვარძიკია ენგურის პირზე არის თავის ცოლის სანახავათაო, რომელიც იმ დროს ავათ ჰყოლოდა თურმე. რასაკვირველია, შეიტყო თუ არა ეს პოლიციამ, იმ წამსვე ორი გამოცდილი, პოლიციაში მოსამსახურე, პირი გაგზავნა და ექვსი მხედარი. ამათ გასწიეს პირდაპირ ხვარძიკიას სახლისკენ, რომელიც მდინარე ენგურის გაღმა იდგა. საუბედუროთ, ენგური ძალიან მომატებული იყო, ასე რომ ბევრი წვალება და გაბედულება დასჭირდა პოლიციელებს, სანამ გაღმა გავიდოდნენ; ბოლოს, ზოგი ნავით, ზოგი ცხენით და ზოგი ცურვით, როგორც იყო, გავიდენ წყალს გაღმა და იმ წამსვე შემოესაფრენ გარეშემო ხვარძიკიას სახლს, ასე რომ, თუ იქ იყო, გაქცევის გზა აღარ ექნებოდა. ამასობაში უეცრად სახლიდგან გამოვარდა თვითონ ხვარძიკია ცხენზე შემჯდარი და თოფით, დამბაჩით, ხმლით და ხანჯლით დაიარაღებული. იმან, რაც შეეძლო, გამოაჭენა თურმე ცხენი, მაგრამ ყარაულები შემოეხვივნენ გარშემო და, როგორც მწევრებმა კურდღელი, ისე ჩაიგდეს შუაში; გასაქცევი გზა სრულიად აღარ მოეძებნა. ხვარძიკია მაინც არ აპირებდა დამორჩილებას, იმან უეცრათ მოაღლო ხელი თოფსა და დამბაჩას, მაგრამ, მის და საუბედუროთ, ორივე დააცილა. შემდეგ ხანჯალსა და ხმალს გაისვა ხელი, და ლომივით დატრიალდა; ამ დროს ერთმა მხედართაგანმა ესროლა თოფი და ხვარძიკია უგრძნობელად დავარდა ძირს. ეს საშინელი ამბავი გაგრძელდა, ცოტათ რომ ესთქვათ, საათნახევარი მაინც. ხვარძიკია ისე მძიმედ დაიკოდა, რომ მეორე დილასვე მოკვდა ერთი თავადი-შვილის სახლში, საცა ის, დაკოდვის შემდეგ, გადაიყვანეს. ვერც პოლიციის ჩინოვნიკმა და ვერც გამომძიებელმა ვერ მოასწრეს, სიკვდილის ჟამს, იმისგან ჩვენების ჩამორთმევა. მეოთხე დღეს ხვარძიკიას ცოლიც მოკვდა და ორთავეს ერთ ადგილ უპირებენ დამარხვას. ხალხის აზრით, ამ ორს, ერთად მომკვდარ ცოლ-ქმარს სასუფეველის კარი ღია უნდა დახვდეს.

ხვარძიკიას ამხანაგი, გლეხი ჩრგაზია გაიქცა, მაგრამ პოლიციას იმედი აქვს, რომ იმასაც მალე დაიჭერს. პოლიციის ეჭვი პრისტავის მოკვლაში სრულიად გამართლდა: დამბაჩაწმენდელმა ექიმმა ნახა ხვარძიკიას ზურგზე საფანტისაგან დაკოდილობის ნიშანი, რომელიც, უეჭველია, პატარა ბიჭის დამბაჩისაგან უნდა ყოფილიყო.—

თ. ვარადებულ აფაქიძე.

ზუგდიდი, 22 ივნისს.

ნარევი

შარშან თუ შარშანწინ პარიჟში მოიგონეს ისეთი დროჭკა, რომ იმაზე მჯდომ კაცს, უცხენოთ, მარტო ფეხების ნძრევით, საცა უნდა, იქ წავა. ამ ნაირ დროჭკას ჰქვია სახელად — ველოსიპედი; ველოსიპედი ერთი შეხედვით მართლა დროშკას ჩამოგავს, მხოლოდ წინ, ორი ურმის-თელის მაგივრათ მარტო ერთი აქვს — შუაში. ზედ მჯდომმა ხან ერთი ფეხი და ხან მეორე უნდა დაჭიროს ქვეშით მაშინას, რომელიც იმნაირათ არის გადაბმული თვლებთან, რომ თავისუფლათ ატრიალებს იმათ და ამ ნაირათ ველოსიპედი წინ მიდის. ამის ნაკლულევანება მხოლოდ ის არის, რომ, ბევრი მოძრაობით, ფეხები მალე ეღალება კაცს, ასე რომ შორს მოგზაურობა გაუჭირდება.—

ამაზე უფრო გასაკვირველი რამ ერთ მეწაღეს გამოუგონია ამ უკანასკნელ დროს პარიჟში. ამ მეწაღეს ისეთი **თვლებიანი წაღები** შეუკერავს, რომ კაცს, ამ წაღებით, ცხენსავით ჩქარა შეუძლია თურმე იაროს და, როცა უნდა, მაშინ გაჩერდება. გამომგონის მეტმა, ჯერ კაცმა არ იცის — რა ნაირათ არის ეს წაღები მოწყობილი.

*

ახლანდელს რუსეთის ხელთნასაქმარევის გამოფენაზე (всероссійская мануфактурная выставка) სხვა ნივთებთ შორის, გამოფენილია უფ. ქნიაგინინსკისგან გამოგონილი **ელექტრონის თვით-ამწყობი მაშინა.** მცოდნე კაცები ამტკიცებენ, რომ ეს ახალი ასოს-ამწყობი მაშინა ძალიან შესანიშნავი არისო და ძალიან გაადვილებს წიგნების ბეჭდვის საქმესაო. მაშინას ყველაფრის გაკეთება შეუძლიან თურმე, რასაც კი კაცის ხელი აკეთებს; ის აწყობს ასოებს, ასწორებს სტრიქონებს, გადაარჩევს ერთხელ აწყობილს წიგნს, მაგრამ ისეთი სიჩქარით, რომ კაცის ხელს ისე არასოდეს არ შეუძლია; როგორც ამბობენ, საათში ათი ათას ასოს აწყობს თურმე ეს მაშინა, რომელიც ორთქლით მოდის მოძრაობაში; ერთი ასოს-ამწყობი მუშა კი ამდენ მუშაობას მთელი დღე მაინც მოუნდება. თუ ამ მაშინას არაფერი ნაკლულევანება არა აქვს და თუ იაფათაც ჯდება, მაშინ, უეჭველია, ძალიან გაიაფდება წიგნები და უფრო საჩქაროთაც შესაძლებელი იქნება იმათი დაბეჭდა.

*

სწავლულების (სტატისტიკოსების) გამოანგარიშებით, ამ ჟამად მთელს **დედა-მიწაზე**—ერთი ბილიონი და ორას ოთხმოცდა რვა მილიონი (1,288,000,000) კაცი **სცხოვრობს.** ძვეყანაზე სამი ათას ექვსას ორმოცდა ორ ენაზე მოლაპარაკე კაცები არიან და ათასი სხვა და სხვა სარწმუნოებისა. ამ სტატისტიკოსებისავე გამოანგარიშებით, წელიწადში, საშუალო რიცხვით, მთელ დედა-იწაზე თითქმის ოცდა თოთხმეტი მილიონი კაცი **კვდება,** დღეში ოთხმოცდა თორმეტი ათასი კაცი კვდება, საათში სამი ათას შვიდასი და მინუტში სამოცდა ორი; მაშა სადამე, ყოველ თვალის-დახამხამებაში ერთი კაცი გაემგზავრება საიქაოს. ასს დაბადებულ კაცში ოცდა ხუთი, სანამ შვიდი წლის შეექნებოდეს, მანამდის კვდება ხოლმე და ჩვიდმეტ წლამდის ნახევარიც ვერა სძლებს. ათი ათას კაცში მხოლოთ ერთი სცოცხლობს ას წელიწადს; ყველაზე უფრო დიდხანს სძლებენ ისინი, ვინც ყოველის კმაყოფილებით, უდარდელათ და სუფთად ცხოვრებენ; ყველაზე ნაკლებს კი ღარიბი და ფაბრიკებზე მომუშავე ხალხი სძლებს, აგრეთვე ექიმებიც ძალიან ხშირად და ადრე იხოცებიან ხოლმე.—

*

ერთი ახირებული პროფესორი უმტკიცებდა ლონდონში თავის მსმენელებს, რომ კაცები ყოველ წამში უნდა მოელოდნენ დედა-მიწიდგან უეცრად ცაზე აფრენასო. ეი რას ამბობს ის: „ძალიან შესაძლებელია, რომ ოკეანის ან ზღვის ძირში გაჩნდეს ცეცხლთ-მქმენავი მთა (ვულკანი); ამ მთის ღია პირში, უეჭველია, ჩავა აუარებელი წყალი, რომელიც მიაწვევს თუ არა ცეცხლად ქცეულს მიწის გულამდი, იმ წამსვე გარდაიქცევა ორთქლათ; და ამისაგან დედა-მიწა ისეთ ნაირათ შეინძრევა, იმდენი ძალა მიაწვება, რომ, უეჭველია, გასქდება, როგორც ორთქლის ქვაბები სქდებიან ხოლმე ხშირათ.“ მიწის ნაგლეჯები მაშინ, ამ პროფესორის აზრით, ყოველი მხრისკენ საშინელის სიჩქარით და ძალით დაიწყებენ ფრენას, ასე რომ ზოგიერთ იმათგანმა შეიძლება მთვარემდინაც მიაწიონ; და თუ კაციც შერჩა ამ მიწის ნაგლეჯზე, უეჭველია, იმასაც ააგდებს მთვარეზე. ეთხოვთ მკითხველს არ შეეშინდეს ამ ამბისა.

*

წასრულ დღეებში ქანონმდებელ ქოში უ. ჟულ—სიმონმა და უ. დალმასმა პარაკეს ახალ დაბადებული ეროვნების მიარეობაზე.

მედიკურ აკადემიას განსაკუთრებითი რადღება მიუქცევია ამ საგნისათვის და ნიშნავს კომისია გამოსაძიებლად ყმაწლების ცუდი მდგომარეობის მიზეზებისა. ამ კომისიის გამოკვლევა, სიმორის, გვაცნობებს, რომ საფრანგეთში დება ყოველ წელს 922.704 ყმაწვილი, ამავე წელს კვდება 280,000-მდის. ეს ყმაწლების ასრე სიკვდილი წარმოსდგება მამის ურიგო მდგომარეობისაგან და ყმაწლების ცუდი გაზდისაგან.

დაბალი ხალხი, ჯან გამოლეული ყველაფელი და მავნებელი მუშაობითა, ჰპოებს მუდამ თავის სიმრთელისათვის ბოროტ საზდოსა; ამისთვის მათი შვილები ცუდნო და ხშირად სნეული იბადებიან.

ბევრი უკანონო ნაშობი შვილები დაკისერზე რჩებიან, და რადგანაც დედა ჯვითა და ვაი-ვაგლახით ძლივს შოულობსარჩოსა, ამისთვის ნორჩი შვილები, მოელის მაგივრათ, მრავალ მაზიანებელ თხვევაში ვარდებიან.

ჯარსაც დიდი გავლენა აქვს შთამომავლობის დასუსტებაზე: ჯან-გამოლეული და ა. გაზდობაში წამხდარი სალდათები ველარ დასცემენ თავიანთ შვილებს ბუნებით ღონესა და ძალასა.

ჟულ — სიმონმა მშვენიერათ ასწერა თ. წიგნში, „მუშა ქალი,“ უბედური დედმდგომარეობა, რომლებმაც მხოლოდ თავთი შრომით უნდა არჩინონ შვილები.

იმის გამოანგარიშებით, საფრანგეთში ლაზე ცოტა ქორწინებაა, რადგანაც, საერო რიცხვით, თითო ოჯახში მხოლოდ ყმაწვილია, როდესაც სხვა ქვეყნებში თითო ოჯახში ოთხი და ხეთიც ხშირათ არის.

რ.

განცხადება

კავკასიის მთიელების სამმართველო აცხადებს, რომ ამ თვის და 8-ს ამ სამმართველოს სადგომში ორინებენ ეგზამენს და ექიმები შეამოწმებენ ყმაწვილებს, რომელნიც ჩარიცხულნი არიან კანდიდატებათ და რომელნიც სახელმწიფო ხარჯით უნდა გაიგზავნონ წელს სამხედრო გიმნაზიებში სწავლის მისაღებად.—

უროკები ფრანციზული ენისა—იკითხეთ

მელიქიშვილის სტამბაში.

იყიდება თფილისში ენფიანჯიანცის წიგნის მაღაზიაში:

საქართველოს ისტორია,

თეიმურაზ ბატონიშვილისა

დაბეჭდილი პეტერბურღს, 1848 წ. 18½ ბახი, 8%

ფასი ერთი მანეთი.

მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში იყიდება

საწერი რვეული

სურათებითა

ფასი 1 შაური.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Іюля, 1870 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. დროებითი რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი